

1. დაწერეთ  $y = \sqrt{6x + 4}$  წირის მხების განტოლება, რომელიც  $y = 0,75x - 17$  წრფის პარალელურია.
2. იპოვეთ შებმდეგი ფუნქციის ზრდადობა-კლებადობის შუალედი  $f(x) = -x^3 \cdot \ln x$ .
3. ამოხსენით უტოლობა:  $f'(x) > g'(x)$ , სადაც  $f(x) = 3x^3 + x + \sqrt{3}$  და  $g(x) = 7x^2 - 4x - \lg 12$
4. იპოვეთ პარამეტრის ყველა ის მნიშვნელობა, რომლისთვისაც  $y = \frac{a}{3}x^3 + \frac{9}{2}x^2 + \frac{a^3}{4}x + 5a$  ფუნქცია ზრდადია  $x$ -ის ნებისმიერი მნიშვნელობისთვის.
5. იპოვეთ უდიდესი ფართობის მქონე მართკუთხედის ფართობი, რომელიც ჩახაზულია  $R = 4\sqrt{3}$  სმ-ის რადიუსის მქონე წრეწირში.
6. კონუსის გვერდითი ზედაპირის ფართობი უდრის  $10 \text{ სმ}^2$ -ს, მისი გაშლით მიღებული სექტორის კუთხე  $36^\circ$ -ია. იპოვეთ კონუსის სრული ზედაპირის ფართობი.
7. მართკუთხა სამკუთხედი, რომლის კათეტებია 5 და 12 სმ, ბრუნავს გარეშე ღერძის გარშემო, რომელიც დიდი კათეტის პარალელურია და დაშორებულია მისგან 3 სმ-ით. იპოვეთ ბრუნვით მიღებული სხეულის ზედაპირის ფართობი.
8. წესიერი ოთხკუთხა პირამიდის ფუძის გვერდია  $a$ , ხოლო წვეროსთან მდებარე ბრტყელი კუთხე კი  $\alpha$ . იპოვეთ ამ პირამიდაში ჩახაზული სფეროს ზედაპირის ფართობი, თუ  $\alpha = \frac{14}{\sqrt{\pi}}$ ,  $\operatorname{tg} \frac{\alpha}{2} = \frac{3}{5}$ .